



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყოველკვირეული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**

N 01, 2024

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
საქართველოში რუსული გაზის წილი იზრდება - როგორია იმპორტის მაჩვენებელი .....	2
მსოფლიო ბაზრებზე ნავთობი იაფდება .....	2
ელექტროენერგეტიკა .....	3
ტარიფის შემცირების საფუძველი უხვი ჰიდროლოგია და ენგურჰესის გაზრდილი გამომუშავება გახდა - სემეკი .....	3
თერჯოლაში ქარის ელექტროსადგურის ახალი პროექტის განვითარებაზე მუშაობა იწყება .....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა .....	4
მთავრობამ შიდა ქართლსა და იმერეთში ქარისა და მზის სადგურების პროექტებზე იმსჯელა .....	4
საქართველოში მზის ყველაზე დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურის პროექტზე ხელშეკრულება გაფორმდა .....	4
კლიმატის ცვლილება .....	5
მკვლევარები ამტკიცებენ, რომ უთანასწორობის შემცირება აუცილებელია კლიმატის კრიზისის დასაძლევად .....	5
შენობები CO2-ზე? .....	5
ღონისძიებები .....	6

## ნავთობი და გაზი

### საქართველოში რუსული გაზის წილი იზრდება - როგორია იმპორტის მაჩვენებელი

საქართველოში რუსული გაზის იმპორტი იზრდება, აზერბაიჯანულის კი მცირდება.

2023 წლის იანვარ-ნოემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსული გაზის იმპორტი 64,5%-ით გაიზარდა, შესაბამისად, მოიმატა მისმა წილმა მთლიან შესყიდვებში. კერძოდ, თუ 2022 წლის იანვარ-ნოემბერში რუსული გაზის წილი მთლიან იმპორტში 15,6%-ს შეადგენდა, გასული წლის 11 თვეში ეს მაჩვენებელი 24,5%-მდე გაიზარდა.

უფრო კონკრეტულად, საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველომ აზერბაიჯანსა და რუსეთში მთლიანად 353,645 მლნ დოლარის ღირებულების ბუნებრივი აირი იყიდა, აქედან რუსეთში შესყიდული გაზის მოცულობა 55,175 მლნ დოლარს შეადგენდა. 2023 წლის 11 თვეში რუსეთიდან 90,776 მლნ დოლარის გაზი შემოვიდა, სულ იმპორტი კი 369,833 მლნ დოლარი იყო.

მიუხედავად რუსეთიდან იმპორტის ზრდისა, საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებელი კვლავ აზერბაიჯანი რჩება. მას 2023 წლის 11 თვის მონაცემებით გაზის მთლიან იმპორტში 75.4% ეკავა (279,057 მლნ დოლარი), თუმცა 2022 წელს ეს მაჩვენებელი 84,3%-ს (298,471 მლნ დოლარი) შეადგენდა.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/CwHBmGzq>

### მსოფლიო ბაზრებზე ნავთობი იაფდება

მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასები იკლებს. ბოლო მონაცემებით, ბირჟებზე Brent-ის ტიპის საწვავის ფასი ბარელზე 77,71 დოლარს შეადგენს, ამერიკული ნედლი ნავთობის WTI-ის ღირებულება კი ბარელზე 72,74 დოლარია.

აღსანიშნავია, რომ როგორც Brent-ის, ასევე WTI-ის ტიპის საწვავზე ფასებმა კლება გასული წლის მიწურულს დაიწყო. 26 დეკემბერს ამერიკული ნედლი ნავთობი 75,57 დოლარი ღირდა, Brent-ი კი 80,85 დოლარი.

ამასთან, მსოფლიოში საწვავის უმსხვილესმა მწარმოებელმა კომპანიამ Saudi Aramco-მ მის ფლაგმან Arab Light ნავთობის თებერვლის მიწოდებაზე ფასი შეამცირა. ფასების კლება შეეხო ყველა რეგიონს. როგორც Bloomberg-ი წერს, ფასების შემცირება მოთხოვნის შემცირების ფონზე მოხდა.

სააგენტოს ცნობით, აზიის ბაზრებზე მიწოდებაზე ფასი ბარელზე 1,5-2 დოლარით შემცირდა. გარდა ამისა, ფასები შემცირდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში, ხმელთაშუა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/rwHBmV8h>

## ელექტროენერგეტიკა

### ტარიფის შემცირების საფუძველი უხვი ჰიდროლოგია და ენგურჰესის გაზრდილი გამომუშავება გახდა - სემეკი

ტარიფის შემცირების უმთავრესი საფუძველი ჰიდროლოგიური მდგომარეობა, უხვი ნალექი და ენგურჰესის გაზრდილი გამომუშავება გახდა - ამის შესახებ სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანია აცხადებს.

მარეგულირებლის გადაწყვეტილებით, როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში ყველა კატეგორიის მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის ტარიფი 3 თეთრით შემცირდა.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. აღნიშნული ტარიფი შენარჩუნდება მინიმუმ, მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

ტარიფის შემცირების უმთავრესი საფუძველი გახდა ის ჰიდროლოგიური მდგომარეობა, უხვი ნალექი, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო. ისევე, როგორც, რეაბილიტირებული ენგურჰესის გამომუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. შესაბამისად, შედარებით იაფიანი დენი, რომელსაც ენგურჰესი აწვდის მომხმარებლებს, გვაძლევს ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს“ - აცხადებს დავით ნარმანია.

წყარო: [energynews.ge](https://cutt.ly/WwHBm6wr) - <https://cutt.ly/WwHBm6wr>

### თერჯოლაში ქარის ელექტროსადგურის ახალი პროექტის განვითარებაზე მუშაობა იწყება

სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის დირექტორმა ჯაბა ხმაღამემ და შპს "ვინდ ენერჯი გრუპის" დირექტორმა გიორგი შუკაკიმე ხელი მოაწერეს საპარტნიორო შეთანხმებას 45 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის განვითარების შესახებ.

ენერჯეტიკის განვითარების ფონდის ინფორმაციით, მხარეების მიერ დაფუძნებული ერთობლივი საწარმო თერჯოლის მუნიციპალიტეტში საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, მწვანე ენერჯის მასშტაბურ პროექტს განახორციელებს. პირველ ეტაპზე დაგეგმილია სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელება, რის საფუძველზეც განვითარდება პროექტი.

“საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს აქვს წარმატებული ისტორია ქარის ენერჯის განვითარების კუთხით, კერძოდ განხორციელებული აქვს საქართველოში პირველი, ოპერირებაში არსებული ქარის ელექტროსადგური. ამასთანავე, ფონდის პორტფოლიოში არსებობს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არსებული ქარის ელექტროსადგურები.

აღნიშნული განახლებადი ენერჯის პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების ამაღლებას, ელექტროენერჯის წყაროების დივერსიფიკაციას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას” - აცხადებენ ენერჯეტიკის განვითარების ფონდში.

წყარო: [energynews.ge](https://cutt.ly/UwHBQuL6) - <https://cutt.ly/UwHBQuL6>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### მთავრობამ შიდა ქართლსა და იმერეთში ქარისა და მზის სადგურების პროექტებზე იმსჯელა

მთავრობის სხდომაზე ქარის ორი და მზის ერთი ელექტროსადგურის განვითარებისა და ხელშეწყობის პროექტზე იმსჯელეს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქარის ელექტროსადგურების პროექტებიდან ერთი იმერეთის რეგიონში განხორციელდება, რომლის დადგმული, სავარაუდო სიმძლავრე 103,5 მეგავატია, გამომუშავება კი 362 მლნ კვტ საათს მიაღწევს. პროექტისთვის საჭირო ინვესტიციის რაოდენობა 130 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

რაც შეეხება ქარის მეორე ელექტროსადგურს, რომლის აშენებაც შიდა ქართლის რეგიონში, ქარელის მუნიციპალიტეტში იგეგმება, მისი დადგმული სიმძლავრე – 43,4 მგვტ, გამომუშავება – 148 მლნ კვტ სთ, ხოლო ინვესტიციის მოცულობა 25,25 მლნ აშშ დოლარია.

გარდა ამისა, 4,797 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება იმერეთის რეგიონში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში 7,8 მგვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის ასაშენებლად, რომლის სავარაუდო გამომუშავებაც 10,295 მლნ კვტ სთ იქნება.

ამ ეტაპზე, სამივე პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და კვლევების კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები მიმდინარეობს.

წყარო: [energynews.ge](http://energynews.ge) - <https://cutt.ly/uwHBQh79>

### საქართველოში მზის ყველაზე დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურის პროექტზე ხელშეკრულება გაფორმდა

ეკონომიკის სამინისტროში არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო კომპანია „მასდარსა“ და საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს შორის ხელშეკრულება გაფორმდა ერთობლივი კომპანიის დაფუძნების შესახებ, რომელიც საქართველოში მზის ყველაზე დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურის პროექტს განახორციელებს.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, დოკუმენტს ხელი მოაწერეს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორმა ჯაბა ხმალაძემ და არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო კომპანია „მასდარის“ დირექტორმა მოჰამედ ჯამეელ ალ რამაჰმა.

ხელმოწერის დასრულების შემდეგ, „მასდარის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ რომეო მიქაუტაძემ. შეხვედრას და ხელმოწერის ცერემონიას ასევე ესწრებოდა საქართველოში არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩის დროებით მოვალეობის შემსრულებელი მუნირა ალმარზოოჟი.

რომეო მიქაუტაძის განცხადებით, მზის ახალი ელექტროსადგური, რომლის მშენებლობაც გარდაბნის მუნიციპალიტეტში იგეგმება, შეამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას და მოახდენს ელექტროენერჯის მიწოდების ადგილობრივი წყაროების დივერსიფიკაციას, ასევე, ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯიებისა და კლიმატის ცვლილებებთან

დაკავშირებული მიზნების მიღწევას და ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულებას.

მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია საქართველოს მთავრობასთან მემორანდუმის გაფორმება და ტექნიკურ ეკონომიკური კვლევების განხორციელება.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოში არსებულ მიმზიდველ საინვესტიციო კლიმატს, მთავრობის მხარდაჭერას განახლებადი ენერჯის განვითარების მიმართულებით და მიმდინარე პროექტის პარალელურად, განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

წყარო: <https://cutt.ly/KwHBQYdp>

## კლიმატის ცვლილება

### მკვლევარები ამტკიცებენ, რომ უთანასწორობის შემცირება აუცილებელია კლიმატის კრიზისის დასაძლევად

ჟურნალ Nature Climate Change-ში ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში, მკვლევარები ამტკიცებენ, რომ უთანასწორობის დაძლევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამყაროს „სუფთა-ნულამდე“ მიყვანისთვის - რადგან უთანასწორობა ზღუდავს იმას, ვისაც რეალურად შეუძლია აითვისოს დაბალნახშირბადიანი ქცევები.

ისინი ამბობენ, რომ საზოგადოებაში ცვლილებებია საჭირო, თუ კლიმატის ცვლილების ეფექტიანად შერბილება გვინდა.

მიუხედავად იმისა, რომ მდიდარ ადამიანებს აქვთ ძალიან დიდი ნახშირბადის ნაკვალევი, მათ ხშირად აქვთ საშუალება შეამცირონ ნახშირბადის ნაკვალევი უფრო ადვილად, ვიდრე დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებს.

წყარო: sciencedaily.com - <https://cutt.ly/pwHBQK2O>

### შენობები CO2-ზე?

სამშენებლო ინდუსტრია, როგორც CO2 შთანთქმეელი? ამაზე მუშაობენ Empa-ს ბეტონისა და ასფალტის ლაბორატორიის მკვლევარები. ბეტონში ბიონახშირის შეყვანით ისინი იკვლევენ CO2-ნეიტრალური ან თუნდაც CO2-უარყოფითი ბეტონის პოტენციალს. ოპტიმალური გამოყენებისთვის, ისინი გადაამუშავებენ ბიონახშირის გრანულებად და იყენებენ მათ ჩვეულებრივი შემავსებლების ჩასანაცვლებლად.

2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალური შვეიცარიის მიზნის მისაღწევად საჭიროა სტრატეგიები და პროცესები CO2-ის უარყოფითი ბალანსით.

ეს ეგრეთ წოდებული ნეგატიური ემისიის ტექნოლოგიები (NET) გამიზნულია 2050 წელს დარჩენილი "მწელად თავიდან აცილების" ემისიების საწინააღმდეგოდ და უნდა დაეხმაროს, რომ საბოლოოდ მივაღწიოთ წმინდა ნულს.

წყარო: sciencedaily.com - <https://cutt.ly/0wHBQ4lk>

## ღონისძიებები

[ZeroCarbonIndustry 2024](#) - კონფერენცია ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობის შესახებ

თარიღი: 30–31 იანვარი, 2024

ორგანიზატორი: eceee

ადგილი: ანტვერპენი, ბელგია

კონფერენცია - [მდგრადი ენერგეტიკის მსოფლიო დღეები 2024](#)

თარიღი: 05–08 მარტი, 2024

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: Stadthalle, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერგეტიკული გადასვლა, კლიმატ-ნეიტრალობა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ბიოენერჯია, ენერგეტიკული პოლიტიკა, მრეწველობა, ე-მობილობა, შენობები, დაფინანსება, ტექნოლოგიები

[GlobalMethaneForum 2024](#) - მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO<sub>2</sub>-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია